№ 273 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

ფასი 1 მან. სამშაბათი 2 დეკემბერს 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. საველდებულო განცხადებანი დადგენილი ხიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ღრმად დამწუხარებულნი მარიამ თომას ასული ალბაშოვისა და შვილები: ნინა, აზნაურ, რუბენ, ლეონ და სურენ დავითის ძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უღროვოთ და უეცრათ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარ პირველის მეუღლის და დანარჩენთ მამისა

დავით ივანეს ძე ალბაშოვის.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე (ბებუთოვის ქუჩა, № 39), გამოსვენება ხოლდება 4 დეკემბერს დღის 10 საათზე, ჯიგრაშნის ეკლესიაში (შუა ბაზარში), დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე.

291 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

სამშაბათს, დეკემბრის ორს, ფალიაშვილის ბენეფისი

აბესალომ და ეთერი

ოთხშაბათს, დეკემბრის 3, „დუბროვსკი“. ხუთშაბათს, დეკემბრის 4, მეხუთე გენნაზიის მშობელთა წრის ფონდის გასაძლიერებლად „ტოსკა და ბალეტი“.

ჯულფა ბაქოს რკინის გზის გამყვანი გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. დეკემბრის 15 ს დილის 10 საათზე გამგეობის ტეხნიკურ განყოფილების ბინაზე (ბაქო, ლალაევის პრ. ყოფილი სასტუმრო „გრანდ-ოტელი“)

დანიშნულია ვაჭრობა

ფართო ლიანდაგის შპალების დამზადებაზე. ვისაც კონკურენციაში მონაწილეობის მიღება სურს, ადრევე უნდა შეიტანოს გამგეობის კასაში საწინდრათ 50000 მან. კონდიციების გაცნობა შეიძლება ტეხნიკურ განყოფილებაში დღის 12—2 საათამდე. 3—1 286

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ანარქიის საწინააღმდეგო ზომისა.

1. დროებით, ანარქიასთან საბრძოლველად, მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება:

ა) აკრძალოს არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიისა, რომელიც წარმოადგენს უცხოეთის პარტიის ნაწილს და ემორჩილება გარეშე სახელმწიფოში მყოფ მთავარ პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელობას, უკეთუ იგი მოქმედებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან ჩაერევა მის შინაურ საქმეებში, და ასეთი პარტიის ბეჭედითი ორგანო დახუროს.

ბ) გააძეოს საქართველოს საზღვრებიდან ან აუკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრება, ან დააპატიმროს ყოველი პირი, რომელიც თავის მოქმედებით ზიანს მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მის მთლიანობის დარღვევას, ან სიტყვით, თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შენიშვნა: ამ პუნქტში აღნიშნული დაპატიმრება და განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვა მინისტრს შეუძლიან ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. ხოლო ამ ვადის გაგრძელება კიდევ ერთი წლით შეუძლიან შინაგან საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით მთავრობას.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის ნოემბრის 21.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

სამხედრო უწყების განკარგულებაში 15 მილიონი მანეთის გადადებისა ჯარისათვის ხურსათ-სანოვაგის დასამზადებლად.

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში ამა სამინისტროს 1919—1920 წლის საერთო სარჯთაღრიცხვის ანგარიშით ხუთმეტი მილიონი (15.000.000) მანეთი ჯარისათვის სურსათის დასაზადებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 21 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი**

დეკრეტი

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად 1.115.565 მანეთის გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის კანკარგულებაში ერთი მილიონი ას ხუთმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი (1.115.565) მანეთი სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებად ბათომის ოლქში შვიდი (7) სკოლისა, ერთი (1) პანსიონისა და საზოგადოების კანცელარიის 1920 წლის იანვრის პირველამდე შესანახად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

განკარგულებანი.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.

24 ნოემბერი, 1919 წ. № 9.

1. ამოიშალოს, სიკვდილის გამო, მოსამსახურეთა სიიდან დამფუძნებელი კრების კანცელარიის ეგზეკუტორის თანაშემწე ალექსანდრა თოხაძის ასული—ამა ნოემბრის 7-დან.

2. მიღებულ იქნეს დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და დაინიშნოს ეკზეკუტორის თანაშემწის თანამდებობაზე—აკაკი გობრონიძე—ამა ნოემბრის 10-დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

იუსტიციის მინისტრისა.

22 ნოემბერი, 1919 წ. № 272.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 15-ს დადგენილების თანახმად დაინიშნა: საბჭედრო სასამართლოს თავმჯდომარედ ამავე სასამართლოს წევრი პოლკოვნიკი ესტატე ალექსანდრეს ძე მაჩაბელი ამა წლის ნოემბრის 15 დან.

22 ნოემბერი, 1919 წ. № 273.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 15 ს დადგენილების თანახმად დაინიშნა: ვილნოს სასამართლოს ოლქის გამომძიებელი მიხეილ ნიკოლოზის ძე მიხაილოვი ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის ნოემბრის 15 დან.

21 ნოემბერი, 1919 წ. № 274.

ჩაირიცხა სახამართლოს უწყებაში და იგზავნება: ბორჯომის უბნის გამომძიებლის თანაბდებობის აღსასრულებლად 2 საარტილერიო ბრიგადის მე 5 ბატარეის უფროსი კონსტანტინე ვასილის ძე მღვინეთ-უხუცესი ამა წლის ნოემბრის 25-დან.

21 ნოემბერი, 1919 წ. № 275.

ჩაირიცხა სახამართლოს უწყებაში და იგზავნება: დუშეთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად საქართველოს სენატის მოხელე მიხეილ ზურაბის ძე ხერხეულიძე ამა წლის ნოემბრის 25-დან.

20 ნოემბერი, 1919 წ. № 276.

იგზავნება: ლეჩხუმის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე მერაბის ძე წერეთელი რაჭის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის ნოემბრის 25 დან.

მინისტრი **ე. გეგეჭკორი.**

დირექტორის თ. აღმ. **დ. წითლანაძე.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

26 ნოემბერი, 1919 წ. № 111.

დათხოვნილია სამსახურიდან ამა წლის 17 ნოემბრიდან და მიცემულია სათანადო პასუხისგებაში სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ქრთამის აღებაში შეჭირვეის გამო ავტომობილთა სარეგისტრაციო კომისიის თავმჯდომარე ალექსი თურქიაშვილი.

29 ნოემბერი, 1919 წ. № 112.

მტკიცდება რკინის გზათა სამმართველოს იურისკონსულტის უფროსს თანაშემწეთ სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე ამა წლის 1 დეკემბრიდან.

გზათა დეპარტამენტის

დირექტორი **ბ. ჭიჭინაძე.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა

შინაგან საქმეთა მინისტრისადმი

№ 122.

განთავისუფლებულია: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი ვიკტორ ნოზაძე აღნიშნულ თანამდებობიდან მის საზღვარ გარეთ წასვლის გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი

ჭიჭინაძე.

კანცელარიის დირექტორი **ი. აფაქიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

25 ნოემბრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მამაგიერ—ე. გეგეჭკორი; მინისტრები—ბ-ნნი რამიშვილი, კანდელაკი, ერაძე. მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ავალიანი, ცინცაძე. გელეიშვილი, გედევანიშვილი, ბახტაძე, ჭიჭინაძე; დეპარტ. დირექტორები—ბ-ნნი ჭიჭინაძე, ჟორდანია; საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ.

დეკრეტის პროექტი დეზერტირობის საწინააღმდეგო მკაცრი ზომებისა მიღებულ იქმნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას მცირე შესწორებით.

გზატკეცილების და წყალსავალ გზების დებულება.

გზატკეცილების და წყალსავალ გზების სამმართველოს დებულების პროექტი შტატებითურთ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სანატორიუმის საკითხი.

შესდგეს საუწყებათა-შორისო კომისია განათლების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალოს „გულრიპშის“ სანატორიუმის საკითხის ყოველმხრივი გამორკვევა, სათანადო ხარჯთ აღრიცხვის შედგენა და მთავრობისთვის მოხსენება ერთი კვირის განმავრობაში.

დამატებითი ხარჯები უცხოეთში ახალგაზრდების გასაგზავნათ.

დეკრეტის პროექტი საზღვარ გარეთ სწავლა-განათლების შესაძენათ გასაგზავნ პირთათვის დამატებით სამი მილიონი გაღების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ხორბლეულობის შეძენის წესი.

ხორბლეულობის შეძენის უფლება ეძლევათ მხოლოთ იმათ, ვისაც ექნება ზომარაგების სამინისტროს ნებართვა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორბლეულობას იძენენ თავის საჭიროებისათვის. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ დაწვრილებითი წესის გამომუშავება დაევალოს მომარაგების სამინისტროს.

განათლების სამინისტროში.

დროებითი დებულება სასწავლო კომიტეტისა.

§ 1. კომიტეტი იმყოფება სახალხო განათლების სამინისტროსთან.

§ 2. სასწავლო კომიტეტის დანიშნულებას შეადგენს: ა) განხილვა განათლების მინისტრის დავალებით: 1) პედაგოგიური კითხვებისა ტ. პროექტებისა, 2) სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამებისა, 3) წიგნებისა, თხზულებისა და პერიოდიულ გამოცემებისა, რომელთა გავრცელება განზრახულია სასწავლებლებში, 4) წინასწარ მოსაზრებებისა სამეცნიერო ექსპედიციათა შესახებ, სამეცნიერო მიზნით ამა თუ იმ პირის გაგზავნის შესახებ და საზოგადოდ მეცნიერების სხვა და სხვა დარგში მუშაობის შესახებ, 5) განხილვა სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების პროექტებისა, 6) ანგარიშებისა პროფესორთა და სხვა პირთა, რომელთაც სამინისტროს მიერ ჰქონდათ დავალებული რომელიმე საკითხის დამუშავება და 7) საზოგადოდ იმ საქმეების და კითხვების განხილვა, რომელთაც მინისტრი წარმოუგზავნის კომიტეტს აზრის გამოსათქმელად; ბ) განხილვა აგრეთვე ანალოგიურ კითხვებისა, რომლებიც აღძრული იქნებიან თვით კომიტეტის მიერ.

§ 3. სასწავლო კომიტეტი, მინისტრის წინადადების თანახმად, საუკეთესო სახელმძღვანელოების შესადგენად ნიშნავს კონკურსს და მიუსაჯავს პრემიებს.

§ 4. სასწავლო კომიტეტი იწვევს წინასწარ თათბირს იმ საქმეების შესახებ, რომელიც შეეხება სასწავლებელთა შინაგან მოწყობას და მათ შინაგან მართვას სწავლის და აღზრდის მხრივ და რომელიც შემდეგ განიხილება განათლების მინისტრის საბჭოში.

§ 5. სასწავლო კომიტეტი განიყოფება ორ ნაწილად: ძირითადი და სპეციალურ განათლების (ტეხნიკურ და პროფესიონალურ) ნაწილად.

§ 6. სასწავლო კომიტეტის წევრებს ნიშნავს განათლების მინისტრი სამი წლის ვადით.

§ 7. სასწავლო კომიტეტი თავის წევრთა შორის სამი წლის ვადით ირჩევს თანამდე-

ბობის პირებს: თავმჯდომარეს, მის ამხანაგს და მდივანს და წარუდგენს მინისტრს დასამტკიცებლად.

შენიშვნა: კომიტეტის წევრებად უნდა მოწვეულ იყვნენ მეცნიერების და ხელოვნების უმთავრესად შემდეგი დარგების წარმომადგენელნი: 1. საზოგადო ისტორიისა, 2. საქართველოს ისტორიისა, 3. ქართული ენისა და ლიტერატურისა, 4. უცხო ენათა და ლიტერატურისა, 5. მათემატიკისა, 6. ფიზიკისა და ქიმიისა, 7. გეოგრაფიისა, 8. ბიოლოგიურ დარგებისა, 9. ფილოსოფიურ დარგებისა, 10. იურიდიულ დარგებისა, 11. ჰიგიენისა, 12. სამხატვრო საგნებისა, 13. მუსიკისა და აგრეთვე წარმომადგენელნი სპეციალურ (ტექნიკურ და სხვა) საგნებისა.

§ 8. სასწავლო კომიტეტის თანამდებობის პირნი ითვლებიან რესპუბლიკის სამსახურში. დანარჩენი წევრები ესწრებიან კომიტეტის სხდომებს და კომიტეტის დავალებით აწარმოებენ მუშაობას.

§ 9. სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე ირიცხება მინისტრის საბჭოს წევრად.

§ 10. თავმჯდომარის ამხანაგი თავმჯდომარეობს სპეციალურ (ტექნიკურ და პროფესიონალურ) განათლების ნაწილში.

§ 11. სასწავლო კომიტეტში საქმის მწარმოებლები ირიცხებიან შტატით.

§ 12 მუდმივ წევრების გარდა კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისთვის მოიწვევიან ან თვით კომიტეტის შიერ, ან მისი თავმჯდომარის მიერ, საჭიროებისა მიხედვით, აგრეთვე სხვა პირნიც მეცნიერთაგან და პედაგოგთაგან, სათათბირო მხრით.

§ 13. სასწავლო კომიტეტის ხარჯების დასაფარავად სახალხო განათლების სამინისტროს თან სდგება განსაკუთრებულ თანხა.

მოხსენება ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტისათვის ერთდროულ დახმარებად 150 ათასი მანეთის გაღების შესახებ.

განათლების სამინისტრომ შემდეგი მოხსენება წარუდგინა მინისტრთა საბჭოს. ქალ. ტფილისში არსებულს უმაღლეს საპოლიტექნიკო ინსტიტუტს განათლების სამინისტრო ყოველთვის სათანადო ყურადღებას აქცევდა და შეძლებისმებრ ცდილობდა ამ უმაღლეს სპეციალურ ცოდნის ტაძრისათვის ისეთი პირობები შეექმნა, რომ მისთვის შესაძლებელი ყოფილიყო წესიერი მოქმედება დ მცოდნე პირების საკმაოდ მომზადება. ამ მიზნით ჩვენი სამინისტრო ნივთიერ დახმარებას ყოველთვის აღმოუჩენდა ხოლმე, მაგრამ საპოლიტექნიკო ინსტიტუტს, რომელსაც ამ ჟამად სამი განყოფილება აქვს: ეკონომიური, სასოფლო-სამეურნეო და ჰიდრო მექანიკური, იმდენად უამრავი მოთხოვნილება და საჭიროება აქვს, რომ ყველა ამის დაკმაყოფილება და გასტუმრება გ ნათლების სამინისტროს სუბსიდიით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამავე დროს ინსტიტუტს, თუმცა აღთქმული ჰქონდა ნივთიერი შემწეობა აგრეთვე სხვა მეზობელ სახელმწიფოების მიერ, მაგრამ სხვა მხრიდ ნ საკმაო დახმარება არ მოსდიოდა და ამიტომაც მან ვერ შეძლო თავის მოქმედების სასურველად გაფართოვება: ნაცვლად რამდენიმე ახალ განყოფილებისა მან მიმდინარე სასწავლო წელს ახალ სამეცნიერო ძალების მოწვევით მოახერხა მარტო ერთი ჰიდრომექანიკურ განყოფილების დაარსება და ამოქმედება.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს და ვითვალისწინებ რა საერთოდ უმაღლეს სპეციალურ სკოლის და კერძოდ პოლიტექნიკუმის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებისათვის უაღრეს საჭიროებას და მნიშვნელობას, ვშუამდგომლობ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდან მიეცეს ერთდროულ დახმარებად ას ორმოცდა ათი ათასი (150000 მანეთი).

საგარეო საქ. სამინისტროში

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება არგენტინის მიერ.

29 ნოემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა რომიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ არგენტინის მთავრობამ 15 სექტემბრის დეკრეტით საქართველო დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოთ აღიარა“. ყოფილი.

ბ. მთავრობის თავმჯდომარის დეპეშა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

„ბუენოს აირესი. არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ არგენტინის მთავრობამ ამა წლის 15 სექტემბრის დეკრეტით საქართველო აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. ამ ცნობას ჩვენი რესპუბლიკა შეხვდა უღრეესი სიხარულის და მადლობის გრძნობით თავის უფროს დას არგენტინის დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი, რომელმაც შესძლო სხვა სახელმწიფოებზე ადრე გაეგო საქართველოს დემოკრატიის იდუმალი მისწრაფებანი და რომელმაც თავისი დეკრეტით დაბადა იმედი, რომ მის მაგალითს სხვა სახელმწიფოებიც მიჰყვებიან. გიძღვნით ღრმა მადლობას და არგენტინის დემოკრატიას გულწრფელათ ვუსურვებ აყვავებას მომავალში».

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია.

ქართული ფულის ხმარება ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ 30 ნოემბერს შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმის კონსულისგან: „ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფს დაწესებულებებში გამოკრულია შემდეგი განცხადება: ფოსტითა და ტელეგრაფით გასაგზავნი და აგრეთვე მიღებული ფული მიიღება მხოლოთ ქართული და ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით“.

იუსტიციის სამინისტროში

კამერის დათვალიერება.

27 ნოემბერს იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერა ყოფილ მე 2 და მე-4 სამომრიგებლო ნაწილების გამომძიებელთა და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები.

საგამომძიებლო უბნის გაყოფა.

ტფილისის მაზრის მე-2 სამოსამართლო საგამომძიებლო უბანი, რომელშიაც შედიოდა ყარაიაზის და სართიჭალის რაიონები, გაიყო 2 დამოუკიდებელ უბნათ. ამის და მიხედვით იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ გამომძიებელთა კამერები გადატანილ იქნას ტფილისიდან: ერთი—ყარაიაზში და მეორე—ს. საგარეჯოში.

საანგარიშო ნაწილის რეორგანიზაცია.

ამ დღეებში მოხდება სასამართლოს უწყების დაწესებულებათა—სენატის, იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო პალატის საოლქო და საგანგებო სასამართლოების, ქ. ტფილისის და მისი მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის საანგარიშო ნაწილების რეორგანიზაცია, რასაც შედეგათ მოყვენ შემცირება აქ ჩამოვთვლით დაწესებულებათა საანგარიშო ნაწილების შტატებისა.

თათბირი

პარასკევს, 29 ნოემბერს, იუსტიციის დეპარტამენტის გამკის გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი, რომელზედაც უნდა შემუშავებულიყო ზომები სამოსამართლო კანცელარიების შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად. თათბირში მონაწილეობდნენ: სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი კ. ლ. ლემერმანი, ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ა. ნ. ჭავჭავაძე, საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის თანამდებობის აღმასრულებელი მ. კანდელაკი, საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს მოადგილე ა. ა. კარასევი, ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე გ. მელვინეთ-უხუკესი და ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე კ. ნ. აფხაზი.

კონვენციები

იუსტიციის სამინისტრო შეეკითხა საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის შორის ხელშეკრულებათა დადების საქმე: 1) ამ რესპუბლიკათა სასამართლოების პირდაპირ ურთიერთობისა და 2) დამნაშავეთა გაცემის შესახებ. შესაფერი კონვენციების პროექტები იუსტიციის სამინისტრომ უკვე შემუშავა და განიხილა მასში ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციამ.

სასამართლოს გაერთიანებისათვის.

რადგან სამინისტროში წარმოდგენილ საქმიდან გამოირკვა, რომ სენაკის 1 უბნის გამომძიებელს საქმე დღემდე რეგულად უწარმოებია, სამინისტრო შეეკითხა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და პროკურორს: მარტო ხსენებული გამომძიებელი არღვევს სამინისტროს კატეგორიულს განკარგულებას ქუთაისის გუბერნიაში ყველა საქმეების ოკლებლივ სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ თუ სხვა გამომძიებლებიც იმასავე სჩადიან, რითი აიხსნება სენაკის 1 უბნის გამომძიებლის ასეთი შეუპოვრობა მთავრობის ბრძანებისა და თუ გამომძიებელს არა სურს, ან არ შეუძლიან მთავრობის განკარგულების შესრულება, რა ზომებს იღებს ამ შემთხვევისათვის კანონით ნაჩვენებ საშუალებათაგან ოლქის სასამართლო და პროკურორის ნაწილი.

ბოლშევიკების აჯანყების საქმეების გამოძიების შედეგი.

ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მ. ორჯონიკიძე მოახსენებს სამინისტროს ხაშურიდან დეპეშით, რომ ამა წლის ნოემბრის 26 ს ადგილობრივ გაასამართლეს ქვემხეთელები, რომელთაც ბრალი ედებათ ბოლშევიკურ გამოსვლაში, ტუნელის და ხიდების დაჭრაში. მათ შორის ერთს ქალაშვილს მეორეს სიკვდილით დასჯა, ორს სუთაშვილს ბ ციმარელს 12 და 8 წლის კატორღა.

მოხსენება ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორისა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ამა წლის ნოემბრის 21 ს საათის 4 ზე ვარდენ პაჭორიამ თანამდებობის აღსრულების დროს მოკლა რევოლვერით უფროსი მილიციონერი გუგუშვილი, შეპყრობისთვის ზომების მიღების დროს მოკლა მაზრის მილიციონერი ლაბახუა, ოდარდელი ადამიანი. მკვლელი არ დანებდა ადმინისტრაციას და შეიფარა ეკლესიას ქვეს შენობას. სინაკის მოელი შეიარაღებული ძალა დილამდე იარაღით მოქმედებდა. გათენებისას ადგილობრივი მთავრობა იძულებული იყო ზარბაზნით დაენგრია ეკლესიას ქვედა სართულის წინა კედელი, რომლის დროს დამნაშავეც იქნა მოკლული.

იუსტიციის დეპარტამენტის მართველის განკარგულებით გაიგზავნათ ცნობათ ტ სახელმძღვანელოდ ყველა სასამართლო პროკურორებს, თავმჯდომარეებს და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებს მთავრობის ა. წ. ოქტომბრის 31, № 1429 ცირკულიარის პირი, შემდეგის შინაარსისა:

იუსტიციის სამინისტროს მოხსენებიდან ირკვევა, რომ აუარებელი საქმეები რჩება გაურჩეველი სასამართლოს მიერ მხოლოდ იმიტომ, რომ მილიცია უწყებებს არ აბარებს გამოწვეულ პირთ და მათ მართლმსაჯულების საქმის აფერხებს წინადადებას ვაძლევთ მილიციას, რომ მას მთავარ მოვალეობათაგანია სასამართლოს და გამოძიება რომ გამოუცხადოთ ჩადენილ დანაშაულთა განკარგულების სწრაფი ასრულება ოლონ შესახებ მათთვის საჩქაროდ შეტყობინება. წინაალმდეგ შემთხვევაში მილიციის მოსამსახურენი სამსახურიდან დათხოვნილი და სამართალში მიცემული იქნებიან. ამასთანავე ვაუწყებთ, რომ თუ დღეიდან ერთი თვის განმავლობაში მილიციამ ვერ გამოასწორა ეს თავისი ნაკლოვანება და იუსტიციის მინისტრმა კიდევ მოგართა საჩივრით ადმინისტრაციის უმოქმედობაზე—ჩემ მიერ სასტიკი ზომები იქნება მიღებული კომისრების და მილიციის უფროსების წინააღმდეგ, რომელთაც სამსახურიდან გადაყენებასაც არ ვაკარებ.

ნაფიც ვექილთა ახალ საბჭოს ასარჩევად

იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა წინადადება მისცა ტფილისის სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს, რათა დანიშნულ კრების მიერ ა. წ. ნოემ. 11 სხდომაზე მოლაპარაკების შესახებ საქართველოში ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა განსახილველად მიღებულ იქმნას სასწრაფო ზომები.

შინაგან საქ. სამინისტროში

მეამბოხეთა დახვრეტა.

სია იმ პირთა, რომლებსაც ჩოხატაურის ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის სამხედრო საგანგებო სასამართლომ გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა და უკვე არის მოყვანილი სისრულეში.

1. ანდრო მიხეილის ძე ახალაძე.
2. ფილიპე ილიშუნის ძე გოგოლაძე.
3. თეოფილე გიორგის ძე თედორაძე.
4. პარმენ ბებურის ძე მამალაძე.
5. ავთანდილ ერანიკოს ძე მამალაძე.
6. ბენიამინ ალექსანდრეს ძე ბერაძე.
7. ტარასი გერასიმეს ძე მინდაძე.
8. მიხეილ ბეგლარის ძე ბერძენიშვილი.

ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საგჯუს ნოტა.

ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭომ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების საშუალებით, მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საგარეო საქმეთა მინისტრებს შემდეგი ნოტა გადასცა:

„19 ნოემბერს სოფელ ლევაშში მოიწყო ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭო—რომელიც მიზნათ ისახავს ხალხის დაცვას მოსახლეობის ჯარის შემოსევისაგან და ადგილობრივი სრული სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებით.

ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს საჭიროთ მიაჩნია განაცხადოს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე, რომ ბრძოლა ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხთა და მოხალისეთა ჯარს შორის დაიწყო უკანასკნელის მიზეზით და რომ ამ ბრძოლის მოსპობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირენი შესაფერ გავლენას მოახდენენ დენიკინზე, რომელიც ანტანტის მიერ მიცემულ იარაღის საშუალებით ანხორციელებს თავის პროგრამას.

რუსეთის რევოლიუციის პროცესში ჩრდილო კავკასიის ხალხებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, მოიწვიეს პარლამენტი და აირჩეს მთავრობა; მაგრამ უკანასკნელმა დენიკინის შემოსევის გამო, ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და სამარცხვინოთ მიატოვა ამრჩეველი ხალხი.

დენიკინმა ისარგებლა მთიელთა მთავრობის დაცემით და შემოიყვანა თავისი ჯარები ჩვენ სოფლებში, შეურაცყო ჩვენი პატიოსნება, გაძარცვა შმვიდობიანი მშრომელი ხალხი და შეეცადა ძველი დესპოტიზმის აღდგენას, რამაც ბუნებრივათ გამოიწვია სახალხო ომი.

თავის მოქმედებას დენიკინი ბოლშევიზს წინააღმდეგ ბრძოლათ სთვლის, რაც ნება დართულია მოკავშირეთა მიერ; მაგრამ უნდა გავაცხადოთ, რომ ჩვენ არა ვსცნობთ სხვა მოძღვრებას, გართა ისლამისა, რომელშიაც მოიპოვება აგრეთვე თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. გენ. დენიკინმა ისარგებლა მთიელთა და ყაზახთა შორის არსებულ მუდმივ განსხვავებით და უკანასკნელი გამოიყენა იარაღათ თავისი დაპყრობითი მიზნების განსახორციელებლათ ისე, როგორც ამას მეფეები სჩადიოდენ კავკასიის დაპყრობის დროს. კავკასიის დაპყრობის დროს ყაზახებმა ჩაიგდეს ხელში მთიელთა მიწები; ჩვენ ვერ დავმალავთ, რომ სწორეთ ეს არის მთავარი მიზეზი ჩვენს და ყაზახებს შორის არსებულ უთანხმოებისა; მაგრამ დენიკინის ჩარევა არ სპობს ამ უთანხმოებას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს მას.

თავდაცვის საბჭო აცხადებს, რომ კავკასია რუსეთი არაა და რომ არც ერთ მთიელს არ, შეუძლია მოითმინოს დენიკინის შემოსევა ისე როგორც არ მოითმინა ბოლშევიკების შემოსევა.

კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობის იდეა, რომელიც შედგებილია მთელ რიგ თაობათა სისხლით, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხია. მთიელთა ხალხების მუდმივი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი განორციელებული უნდა იქნეს, თუ ჰსურთ კავკასიის მთებში მშვიდობიანობის დამყარება. თუ ის ბეშარიტება რომელიც პრეზიდენტმა ვილსონმა ღიარა ხალხთა დამოუკიდებლობის შესახებ, რაიმე მოსაზრებით გაუქმებული არ არის. მთიელებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ მოკავშირეები დახმარებას გაუწევენ მათ. იმ ხალხს სახელით, რომელიც დღეს სისხლისაგან იცლება, მე ვითხოვ თქვენგან ჩაერიოთ ჩვენს საქმეში სამართლიანობის დასაცავათ.

ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭო დაბეჯითებით სთხოვს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიიღონ საჩქარო ზომები მთიელთა ტერიტორიის განსაწმენდათ მოხალისეთა ჯარებისაგან და დანიშნონ საერთაშორისო კომისია იმ უბედურებათა გამოსარკვეათ, რაც დენიკინის აგრესიულმა მოქმედებამ მიაყენა მთიელებს.

მხოლოდ ასეთ ზომებს შეუძლია დაამშვიდოს შეურაცყოფილი სინდისი ჩრდილო კავკასიის მთიელებისა და ბოლო მოუღოს საშინელ სისხლის ღვრას.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, ჩრდილო კავკასიის შეიხ ულ ისლამი, **ალი ხაჯი აკუშინსკი“.**

საქართველოს გარეშე

ევროპის პრესა საქართველოს და მის მეზობელ ერების შესახებ.

„გაზეთ „ტანი-“ს 8 ნოემბრის №-ში სათაურით „საქართველო და მისი მეზობლები“ შემდეგი შინაარსის წერილია მოთავსებული: „ჩვენ გვწერენ ტფილისიდან: საქართველოს მინაურ წესრიგიანობის კონსოლიტაცია ძტკიცეთაა დაკავშირებული მეზობელ ერებთან-ომხებთან და ადერბეიჯანის თათრებთან მის დამოუკიდებლობის პრობლემასთან. ამიერკავკასიის მოძავალი დამოკიდებულია იმაზე

თუ როგორ მოიწყობა ეს დამოკიდებულება თუმცა ეს დამოკიდებულება სავსებით მოწესრიგებული არ არის, მაგრამ ცუდი მაინც არაა ადერბეიჯანთან საუკეთესო დამოკიდებულება დამყარდ; ეს სრულიათ ბუნებრივია თუ მხედველობაში მივიღებთ აუარებელ კვანძებს, რომელიც აერთებს ორ მეზობელ ერს—ქართველებსა და თათრებს, რომლებიც ისტორიის ნებით ერთი-მეორის გვერდზე ვიწროთ არიან მოთავსებული შავი და კასპიის ზღვების შუა. ეს კეთილ ნაყოფიერი შეთანხმება სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოსა და სომხეთის, ე. ი. ერევნის რესპუბლიკის შორის დამოკიდებულება არ არის ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ დიდი ხნის მეზობლობას და ცივილიზაციის ერთიანობას. ტერიტორიალური დავა ჯერ არ მოწესრიგებულა, თუმცა ის უფრო მცირე მნიშვნელოვანია, ვიდრე სომხეთისა და ადერბეიჯანის შორის არსებული განსთქილება. საქართველოში ყველა დარწმუნებულია, რომ თუ ამ ორ ერთა შორის მტკიცე კავშირი არ დამყარდა, თვით საქართველოსაც საფრთხე მოელის.

საქართველოს მთავრობა მართლაც სულ ამას ცდილობს და ამიერ კავკასიის ერთა კონფერენციაც მისი ინიციატივით შესდგა ტფილისში.

ის ფაქტი, რომ ამ სამმა ერმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა საზღვრების დადება დაერთო ინტერესების მოწესრიგება, არაფის არ უნდა უკვირდეს იმის შემდეგ, რაც ხდება ევროპაში ტერიტორიალური დავის გარშემო. ალბათ, არსებობს სპეციალური მიზეზი, რომელიც აბრკოლებს ამ პრობლემის გადაწყვეტას ამიერ კავკასიაში. დარჩება თუ არა სომხეთი ამიერ კავკასიის ჩარჩოებში, თუ გაფართოებს ის თავის საზღვრებს ოსმალეთის ქვეშ ვილაიეტით? სომხეთის პოლიტიკას ამ ორ ალტერნატივის შორის აქვს საშუალება გარკვეული ხასიათი მიიღოს. ოსმალეთში ნაციონალურ მოძრაობის განვითარებით კი ე. წ. ოსმალეთის სომხეთმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო ასე, რომ ახლანდელ პირობებში სომხეთის მთავრობისთვის აუცილებელია საქართველოსა და ადერბეიჯანთან შეთანხმება. იმ დროს როდესაც ოსმალეთის სომხეთის საზღვრების დადება შეიძლება მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა დახმარებით, სომხეთის ტერიტორიის განსაზღვრა ამიერ-კავკასიაში შეიძლებოდა გადაუდებლათ ორ მეზობელთან შეთანხმებით,—ამითი სამივე რესპუბლიკები მოგებული დარჩებოდენ, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე მის საზღვრების გარედაც.

ტფილისის თვითმართველობაში.

ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: ქალაქის საწყობების დამტვირთავ-გადამტვირთავ მუშებს 1 ლ დეკემბრიდან გაუდიდდეს ხელფასი ფუთზე 50 კაპეიკით.

ქალაქის მოსამსახურენი, რომლებიც გადიან ავადმყოფობის გამო სამსახურიდან, შეიმოწმებულ იქმენ ექიმთა კომისიის მიერ გამოსარკვევით იმისა, თუ რამდენი პროცენტი დაკარგეს მათ შრომის უნარისა.

ქალაქის მილიციის უფროსის შუამდგომლობა.

ქალაქის თვითმართველობის წინაშე ქალაქის მილიციის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა ამიერიდან მოხსნილ იქნას მილიციონერების გაყოლება ახლად გაწვეულ, ან დეზერტირ ჯარისკაცების დასაცავად, როგორც დღემდე არსებობდა. ამ შუამდგომლობას ქალაქის გამგეობა დღევანდელ სხდომაზე განიხილავს.

ქალაქის თავის ჩამოხვლა

გუშინ დილის მატარებლით ოზურგეთიდან დაბრუნდა ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობაზე იყო დასასწრებლად წასული.

მუნიციპალური ცხოვრება.

ქ. დუშეთის ხმოსანთა საბჭოში.

ფიციოზი ფურცელი.

დუშეთის მოქალაქეთაგან არჩეულნი თვითმართველობის ხმოსნები, უდგებით რა დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებას და ვგრძნობთ რა მის მთელს სიმძიმეს და პასუხისმგებლობას, ვსდებთ ურყეველ წესს მთელის ჩვენი არსებით ენერგიულად და თავგამოდებით ვიმუშაოთ ქალაქის საკეთილდღეოთ და დავიცათ ამომრჩეველთა უფლებრივი და მატერიალური ინტერესები, რაზედაც ხელს ვაწერთ.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ხმოსანი ნიკო ჩამაკაძე, რომელმაც მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კრებას. მდივნათ საბჭომ აირჩია ხმოსანი ცეცხლაძე. ქალაქის თავად არჩეულ იქნა სოლომონ ყაზბეგი. ქალაქის თავს თვიურად დაენიშნა 2000 მ. მდივანს —1500 მან.

ერობა.

გადასახადების გაწერის და აკრეფის საკითხი გარე-კახეთში.

გარე კახეთიდან დაბრუნდა ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის მდივანი ივანე კარგარეთელი, რომელსაც დავალებული ქონდა შეესწავლა გადასახადების გაწერისა და აკრეფის მდგომარეობის გამორკვევა. ბ-ნ კარგარეთელს მოუვლია შემდეგი თემები: საგარეჯოსი, ივრისი და მარტყოფის. უმთავრეს ცენტრებში და აგრეთვე მეტ წილად სოფლებში მას გაუმართავს საჯარო ყრილობები ხნებულ საკითხის შესახებ. ხალხი დიდის თანაგრძნობით და შეგნებით ეკიდება გადასახადების საკითხს, როგორც უმთავრეს ფუძეს სახელმწიფოს აღმშენებლობისას. ყოველ სოფელში არის ამორჩეული საგანგებო კომისიები, რომლებიც ადგენენ გადასახდელთა სიებს და აწესრიგებენ გადასახადს. მეტ წილ სოფლებში ეს წინასწარი მუშაობა მოთავებულია. საზოგადოთ, ეს საქმე არ დაგვიანდებოდა რომ თვით თემის გამგებებს არ გამოეჩინათ სისუსტე. თვით გეგმა აკრეფისა სხვადასხვანაირია. მაგალითად მარტყოფში ფულის აკრეფას შეუდგა თვით თემი, სხვა ადგილებში კი თვით ზემორე ხსენებული კომისიები ავალებენ ამკრეფულებს შეაგროვონ გადასახადები. საერთოდ მუშაობა კომისიებისა დამაკმაყოფილებელია და იმედია ახლო მომავალში დასრულდება მუშაობა და გადასახადებიც სრულებით აიკრიფება.

გადასახადების შემოტანა.

ტფილისის სამაზრო ერობაში ყარაიაზისა და ასურეთის რაიონებიდან უკვე დაიწყო გადასახადების შემოტანა.

წ. კ. საზოგადოებაში.

ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 29 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა: 1) ვაჟკაშვილის ნაანდერძევი ქონების განაღდება მიენდოს გამგეობის წევრს კირილე ნინიძეს. 2) პირველ იანვრისთვის 1920 წელს გამოცხადდეს ნიკოლოზ ღოლობერიძის, გრიგოლ დადიანის და ნიკოლოზ ერისთავის სახელობის პრემიები საუკეთესო ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაწარმოებთათვის. პრემიები იქნება: 900 მ. ღოლობერიძის 1200 ნიკოლოზ ერისთავისა და დადიანის. 3) დადგენილ იქნა შეკეთდეს ილია ჭავჭავაძისეული სახლი ანდრიას ქუჩაზე. 4) ნინო ჩხეიძის 25 წლის საიუბილეო დღესასწაულის მომწყობ კომიტეტში წარმომადგენლად დაესწროს იოსებ გიორგობიანი 5) ფოთის მილიციონერთა საპროფესიო კავშირს მიეცეს უფასოთ თავის გამოცემების თითო ეკზემპლიარი.

უცხოეთი

(საქ. დეპ. საგ.).

ამერიკული ნოტები.

ტორნიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ინგლისის მისიას მთავრობამ აცნობა, რომ 16,000 ინგლისის ჯარისკაცი უკვე მზად არის მაზურის ტბების ტერიტორიის დასაჭერად, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს. ჯარს დანციგით გაგზავნიან.

სტამპოლიდან იუწყებიან, რომ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა, რომელმაც საგრძნობი მატერიალური ზარალი მოიტანა. შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენეს, რომ უკანასკნელი მიწის ძვრის დროს დაინგრა 7 სოფელი, 20 კაცი მოკვდა, მეორე ცნობით ზემო გარონაშიც მოხდა ძვრა, ზარალი დიდი არ ყოფილა, მაგრამ მცხოვრებლებში პანიკა გამოიწვია.

დანიის პრემიერ მინისტრმა 315,455 დანიის ქვეშევრდომისაგან ხელმოწერილი მიმართვა მიიღო. ისინი მოითხოვენ, რომ მთავრობამ მოკავშირეებთან მოლაპარაკება დაიწყოს, რომ გერმანიის თავდებობის პირებმა და ჯარმა შლეზვიგის 33 ზონა დასტოვონ, რათა მეორე ზონაში ხმის მიცემის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნას. დანიის მთავრობის სურვილის დაკმაყოფილებულად საზავო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტში შლეზვიგის მე-3 ზონის პლებისციტი უარყოფილია.

უნგრეთის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა—აი ერთად ერთი საქმე რომელიც ელჩს უელესს სურს გაატაროს. სხვა საკითხები თითქმის ასე თუ ისე მოწესრიგდება.

ზოგიერთ წრეებში შიშობენ, რომ შეიძლება შეიქნეს მოულოდნელი მდგომარეობა, რომლის დროსაც ელჩს უელესს მრავალი დაბრკოლებები შეხვდეს, რადგან ის დაწვრილებით არ არის გაცნობილი საზავო კონფერენციის წინანდელ ნამუშევართან. ამერიკის კომისია განმარტას, როგორც კი სენატის საზავო ხელშეკრულებას დაამტკიცებს, და მათ შეერთებულ შტატებს ნებას მისცემს მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების გატარებაში, დაუყონებლივ იქნებიან გაგზავნილი საფრანგეთში შუამავლები, ექსპერსიები და სხვა საჭირო პირები.

ფუმეს საკითხს ელჩი უელესი არ შეეხება როგორიც არ უნდა იქნეს მომავალში იტალიის ან მოკავშირეების მოთხოვნილება, ამის შესახებ უნდა ვაშინგტონში ითათბირონ სახელმწიფო მდივნის საშუალებით.

ფრანგული პრესა.

27 ნოემბერს საფრანგეთის აკადემიამ სუდანის ზანგების ეფესკოპოზს ლამეტრს პატივისცემა გამოუცხადა. ლეგერტმა ჯილდოთ 10,000 ფრანკი მიიღო. ზემო რეინის დეპუტატი ჟურდენი შრომის მინისტრად დაინიშნა.

გერმანია ყველგან აცხადებს, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დაგვიანების მიზეზია, საფრანგეთის ახალი მოთხოვნილებაო. გაზ. „ტან“-ი კი პირიქით სწერს, რომ გერმანიას სურს ზოგიერთ ვალდებულებებს მხარი აუხვიოს. აი მაგალითად, გერმანია წინადადებას იძლევა, რომ სამოქალაქო მცხოვრებლების მიმართ ჩადენილ ბოროტებათა გასამართლება მოხდეს გერმანიის სასამართლოში, და არ გადაეცეს მოკავშირეებს, როგორც ამას საზავო ხელშეკრულება მოითხოვს.

რუმინიაში რესპუბლიკანური მოძრაობა იზრდება. დინასტიის მდგომარეობა საშიშია.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ კარანცის ჯარმა ტამპიკოს ახლო ამერიკელი მოქალაქე ჯემს ჟელესი მოჰკლა, დანიშნულია გამოძიება მოელიან ულტიმატუმს.

გერმანული პრესა.

„დეიტშე ალგემაინი ცაიტუნგს“ კაბინეტთა ახლო მყოფ სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ გერმანიის მთავრობას მტკიცედ გადაუწყვეტია არ მისცეს სანავთსადგურო მასალა 400000 ტონა. აქ არ არის საკითხი მთავრობის პრესტიჟის შესახებ, არამედ ამ მოთხოვნილებას დაკმაყოფილება გერმანიის სამეურნეო ცხოვრებას სრულიათ მოსპობს.

„ფოსიშე ცაიტუნგს“ მიჰყავს „ვარშავსკაია რეჩი“-დან ამოღებული ცნობა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მომხდარა 9 ნოემბერს მოსკოვში ბოლშევიკებსა, ესერებსა და ინტერნაციონალისტებს შორის. ბოლშევიკები ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევის მოხრმენი არიან. მთავრობის შემადგენლობაში სოციალ-რევოლიუციონერებისაგან შევლენ ჩერნოვი, ვოლსკი და ზენზინოვი, მენშევიკებთან მარტოვი, დანი და სხვა. ახალმა მთავრობამ დაუყონებლივ უნდა მოიწვიოს ეროვნული დამფუძნებელი კრება. არჩევნები პროპორციონალურ სისტემით უნდა მოხდეს. ახალმა მთავრობამ უნდა მიმართოს დენიკინსა და კოლჩაკს დროებით ზავის შეკვრის მოთხოვნილებით, რათა საშუალება მიეცეთ არჩევნების თავისუფლად ჩატარებისა. მთავრობამ აგრეთვე ნაბიჯები უნდა გადადგას ბლოკადის მოხსნის შესახებ მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად.

პრეს-ბიუროს ცნობა.

დონის როსტოვი. სამხედრო ცნობა. ნოემბ. 30. ჩრდილო კავკასიაში და ცარიცინის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ბალაშოვის მიმართულებით ზოტოვსკაიოს და პრავოტოროვსკაიას რაიონში წითლებმა ჩვენი ჯარი შეავიწროვა. სადგ. ბუტურლინოვკა ავიღეთ. ვორონეჟის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. სტარო-ოსკოლთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. წითელი პოლკი სრულიად დავამარცხეთ. კურსკის გლუხოვის და ჩერნიგოვის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ჩვენი ჯარი პეტლიურას სდევნის.

დონის როსტოვი, ნოემბ. 26. ნოვოროსიის ოლქის ლაშქრის სარდალმა შილინგმა უკან დახეულ პეტლიურას ჯარს მოწოდებით მიმართა, რომელშიაც ამბობს, თქვენ, რასაკვირველია გესმით, რომ წინააღმდეგობა უნაყოფოა და თქვენ დაუყონებლივ უნდა შესწყიტოთ სამხედრო მოქმედება, უფროსები კი, რომლებიც თქვენ ხელს შეგიშლიან, დააპატიმროთ. ნუ უჯერებთ ზღაპრებს, თითქო მოხალისეები ტყვეებს ხოცავდენ. თქვენი უმეტესობა, რომელთაც კანონში სამხედრო სამსახური არ უწესია სახლებში დაბრუნდებიან.

მოხალისეთა ჯარის ცნობა.

გალიციის ლაშქრის სარდლობიდან, რომელიც პეტლიურას ჯარს—შედასოტამაჩრის ბოლო რიცხვებში ვინიცას მიმართულებით მომქმედ ჩვენ ჯართან მივიდენ პარლამანტიორები საზავო წინადადებით. მოლაპარაკება მოხდა 30 ნოემ. ქალაქ ოდესაში ორივე მხარემ შეთანხმებას ხელი მოაწერა. შეთანხმების ძალით გალიციის არმია მთელის შემადგენლობით მოხალისეთა განკარგულებაში გადმოდის. ხელშეკრულება ძალაში შევიდა (ძველი სტილით) 6 ნოემბრიდან.

ყუბანის საოლქო რადამ ძველი ატამანის გენერალ ფილიმონოვის გადადგომის შემდეგ ჯარის ატამანათ გენერალი უკაპენკი აირჩია.

25 ნოემბერს ინგლისის მეთაურმა გენერ. ბრიკსმა ინახულა ვაჭრობა-მრეწველობის მმართველობა. გენერალი მმართველობის ახალმა უფროსმა ფენინმა მიიღო და დიდხანს ესაუბრა მას. საუბარი უმეტესათ შეეხებოდა საგარეო ვაჭრობის საკითხს. გენერ. ბრიკს აუწყეს, რომ განხორციელდა ახალი ხელშეკრულება ვაჭრობის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების შესახებ. ამ ზომებმა ინგლისში ჩვენი ექსპორტი უნდა გააძლიეროს.

პრეს-ბიუროს ცნობა.

(გაგრძელება).

ბოლშევიკები 20 ნოემბრის (ახ. სტ.) რადიოთი იუწყებიან მოსკოვიდან შემდეგ ცრუ ცნობებს: 1) ტყვეები ამტკიცებენ, რომ ჩეჩნები და დონის ყაზახები ფრონტიდან შინ დაბრუნდნენ, რადგან განაცხადეს „ჩვენ გვსურს თავისუფლათ ცხოვრება, როგორც საბჭოთა რუსეთში“. 2) კიევში შიმშილობაა და ამ ნიადაგზე ხდება არეულობა. ცხენოსანი პოლიცია დათარეშობს. 3) ფრონტიდან ყუბანის ყაზახები გარბიან, დონის და ყუბანის ოლქში პურის რიკვიზიციის გამო გლეხების აჯანყებაა. ყველა ზემო და აღნიშნული ცნობები სიმართლეს არ შეეფერება.

ინგლისის გენერალმა ჩარლზ-ბრიქსმა 25 ნოემბერს როსტოვში საგანგებო სათათბიროდ დაწესებულება ინახულა. ნამავე საღამოს ბრიკსი ინგლისში გაემგზავრა. გენერალი ბრიკსი სამხედრო მინისტრის ჩერჩილის მერ იყო გამოგზავნილი. თავისი მოკლე მოგზაურობის დროს მან გამოარკვია ადგილობრივ თავის დაკვირვებით დენიკინის მიერ აღებულ ტერიტორიის გაფართოვების და მცხოვრებლების საჭიროების საკითხები. მას შემდეგ, რაც ის ეკატერინოდარიდან ინგლისში გაემგზავრა, მთელი ენერგია მოახმარა მას, როგორ დაეხმაროს ანტი-ბალშევიკურ ძალებს რუსეთში.

მატვრული ქრონიკა.

სახელმწიფო თეატრი. დღეს 2 დეკემბერს დანიშნულია ცნობილ კომპოზიტორი „აბესალომ და ეთერის“, ავტორის ზაქ. ფალიაშვილის ბენეფისი. დაიდგმება მიხეილ ოპერა „აბესალომ და ეთერი“ მე—25—ჯერ.

დღეს, საღამოს 8 საათზე საადგილმამულო ბანკის შენობაში დანიშნულია ხელოვნების ცენტრის სხდომა მიმდინარე საკითხების განსახილველად, წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

შემოსავალი ლოტოსაგან.

ხელოვნების ცენტრი უკვე შეუდგა სხვა და სხვა კლუბიდან ლოტოს შემოსავლისაგან განსაზღვრულ % აღებას, თანახმად ქალაქის თვითმმართველობის ნებართვისა. თვიური შემოსავალი ნავარაუდევია 200,000 მანეთამდე.

მწერალთა კავშირის კრება.

პარასკევს, მწერალთა კავშირის ბინაზე ყოფილ ანონას შენობაში—დანიშნულია მწერალთა კავშირის მორიგი კრება.

დ. კლდიაშვილის იუბილეი.

15 დეკემბერს, სახაზინო თეატრში გაიმართება დამსახურებულ მწერლის დ. კლდიაშვილის იუბილე, იუბილეს მომწყობი კომისია აირჩევა ამ დღეებში, რომელიც გამოიმუშავებს შესაფერ პროგრამას. დ. კლდიაშვილისათვის ასეთი იუბილეების მოწყობა განხრახულია აგრეთვე ქუთაისსა და ბათუმში.

„ქიმერიონი“ მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით მწერალთა კლუბს ეწოდა „ქიმერიონი“, რომელიც გაიხსნება ორი კვირის შემდეგ.

ბანცხადებანი

ვარლამ კოწიას ძე თოდუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა, აღებული ზუგდიდის სამაზრო კომისარიატის კანცელარიიდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 168 1—1

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ თვისი დადგენილებისა 17 ამა ნოემბრიდან 1919 წ. იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ლუკა დიმიტრის ძე გოგიაშვილისას, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა განაცხადონ თავისი უფლება გოგიაშვილის ქონებაზე. 0216 1—1

ოზურგეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 7 აპრილს 1917 წელს გარდაცვალებულ შემოქმედის საზოგადოების, ოზურგეთის მაზრის მცხოვრების ონისიმე ივანეს ძე გვარჯალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლება გვარჯალაძის უფლებაზე მე 1231 მ. ს. ს. წ. აღნიშნულ ვადაში. 0220 1—1

ქ. ტფილისის მე 22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მარიამ იაკობის ასულის ფარსეგოვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ფარსეგოვის ქონებაზე სამ. კან. კრებულის მე X ტ. I ნ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 91 1—1

ქ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ შაქრო პეტრიაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განცხადონ თავისი უფლება პეტრიაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-X ტ. I ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 112 1—1

მომრიგებელი მოსამართლე ქალაქ ფოთისა იწვევს გარდაცვალებულის ალექსანდრე გიორგის ძე ჭითანავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებული ჭითანავას დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მეათე ტომის I ნაწილის მე-1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 162 1—1

ბორჯომის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ლაზარეს ძე ჩაჩანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩაჩანიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 144 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ერმილე ნიკოლოზის ძე ჯავახაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და სალდათობიდან განთავისუფლების მოწმობა, მათ შორის პასპორტი მას ჰქონია მიღებული მაღლაკის საზოგადოების მამასახლისიდან ძველი მთავრობის დროს, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 143 3—1

ქალ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ შიო გაბრიელის ძე მუხათგვერდელის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 187 1—1

ქ. ტფილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მინაი ვაგოლიცინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გოლიცინის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. X ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 210 1—1

ახალქალაქის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს ნიკოლოზ ფილიპეს ძე სიმონოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სიმონოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. X ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ. ვადაში, 0213 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა თავის 1919 წ. ოქტომბრის დადგენილების № 431 თანახმათ ამით აცხადებს, რომ ანნა მიხეილის ასული ჯალაღანია მიწვეულია სინოდალურ კანტორაში ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, რათა მან ხელი მოაწეროს კანტორის გადაწყვეტილებას მის ქმართან, ფილიპე ჯალაღანიასთან განქორწინების შესახებ. თუ ის აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა, გადაწყვეტილება № 431, სისრულეში იქნება მოყვანილი 239 1—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დოხმანმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ზინაიდა ავგუსტის ასული დოხმანისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წ. უკვალად დაიკარგა 1912 წ. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ზინაიდა ავგუსტის ასულის დოხმანის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა დაბეჭდვისა ორის თვის განმავლობაში. 271 3—2

შალვა იაკინთეს ძე ცქიტიშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან აღებული 1914 წ. „ატესტატი“ დაშვიდი კლასის მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 246 3—2

პარასკევა ივანეს ასული კობიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 242 3—2

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნიჟარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა აღებული ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიიდან 1914 წელს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 245 3—2

მიხეილ აბრამის ძე ბადალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ბაშკალის საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 243 3—2

ონისიმე პეტრეს ძე დავლიანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სოფ. სხვავის საზოგ. კანცელარიიდან (ქუთაისის გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—2

ივანე მარკელის ძე კულმისევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რუსების ეროვნულ საბჭოდან აღებული პასპორტი № 5915, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—2

სერგია გრიგოლის ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის სათავად-აზნ. დეპუტატთა საკრებულოდან მიღებული პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 240 3—2

დაკარგულია 26 ნოემბერს დილის 6 საათზე გოლოვინის პროსპექტზე ჭავჭავაძის და დავიდოვის შესახვევების შუა ყვითელი, შავი წერტილებით ტყავის მოსახსელი („კორეტკა“). მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: თხინვალის შესახვევი № 9 (მეორე კომისარიატი) ხმალაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 241 3—2

ხარლამპი ირაკლის ძე სარიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის ფურცელი (послужн. список) მიღებული ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქიდან საბუთი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 253 3—1

ხარაგოულის საზოგადოების სოფელ სარგვეში მცხოვრები ივანე გიგოს ძე ბასილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და ფული 152 მ. და 50 კაპ. მპოვნელს სთხოვენ პასპორტი დააბრუნოს, ფული კი დაიტოვოს თავის სასარგებლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 250 1—1

ბესარიონ სტეფანეს ძე მელიქაძე აცხადებს, რომ რუსეთიდან წამოსვლის დროს მან დაჰკარგა ხონის საოსტატო სემინარიიდან 3 ივნისის 1914 წ. მოწმობა № 652, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 169 3—1

გუგასიანცი სტეფანე ნავასატოვის ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი აღებული 1908 წ. ივლისის 4 № 8288. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 268 3—1

ნაზარეთ რუსიან აცხადებს, რომ მან დაკარგა სომხეთის უნტერ-ოფიცრების სასწავლებლიდან აღებული დათხოვნის მოწმობა № 3146 ისპანიის საკონსულოდან აღებული პასპორტი სურათი № 2038. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 269 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა განცხადება ტფილისში 8 უბან. ვოდოპოდიომნის ქუჩაზედ № 2 ელისაბედ მიხეილის ასულმა პილიუგინმა, რომ მისი ქმარია იოსებ ილარიონის ძე პილიუგინი, რომელზედაც მან დაიწერა ჯვარი 1916 წ. 10 თებერვალ, უკვალოდ დაიკარგა 1917 წ. მარტში, რის გამო ელისაბედ მიხეილის ასული პილიუგინი თხოულობს მისგან განქორწინებას. ამიტომ, ყველა, ვინც კი იცის უკვალოდ დაკარგულის იოსებ ილარიონის ძის პილიუგინის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონის ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა ორი ორი კვირის განმავლობაში. 282 2—1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამა 9 დეკემბერს 1919 წ. დილით 12 საათზე იწვევს კონკურენციას შემდეგ სამუშაოებზე: ვადატან-გადმოტანა სათბობ მასალების (ქვის ნახშირის, შეშის და სხვათა) ვაგონებიდან ვაგონებში და სხვაგვარი სამუშაოები ვადით 1 იანვრიდან 1 ივლისამდის 1920 წლ. სამასალო და სათბობ მასალების საწყობებში: ბათუმისა, ფოთისა, ზესტაფონისა, ქუთაისისა, ჭიათურისა, სამტრედიისა, შორაპნისა, ხაშურისა, ბორჯომისა, ტფილისისა და სანაინისა.

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნეს ყველა საწყობებიდან ცალკე, უსათუოდ დახურული კონვერტებით და გამოგზავნილი შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, სამასალო განყოფილების უფროსს საქართველოს რკინის გზისა. დაწვრილებით პირადათ და ფოსტით. ქ. ტფილისი, საქ. რკინის გზის სამმართველოს სამასალო განყოფილება. ყოველ დღე 9 საათ. 3 საათამდე გარდა უქმეებისა. 167 3—3

ივანე ბესარიონის ძე შენგელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული კულაშის საზოგადოების ერობის გამგეობიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისგან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 252 3—3

ლუკა ონისიმეს ძე ნიკოლაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. საჩინოში. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—3

დაკარგულია კვიტანცია № 1132 აქციონერთა საზ., „დეიატელი-“ს კანტორიდან აღებული ბარშტაკის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 254 3—3

სტეფანე ბარიკალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების უვადო მოწმობა მიცემული ქ. ახალციხის სამხედრო ბეგრის უფროსის მიერ 1916 წ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 255 3—3

ივანე თედორეს ძე კალაშნიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის ყოფილ პოლიციმეისტრის კანცელარიიდან. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს სპარსეთის საკონსულოში კალაშნიკოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1256 3—3

პელაგია პეტრეს ასული გარკინა აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი თავის და ქალიშვილის (თეკლესი) მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ვაგზლის ქ. № 10. უკიდურეს შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 224 3—3

ნინო გიორგის ასული მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურსის დასრულების მოწმობა, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. (უ) 3—3

დავით იუნოსოვი აცხადებს, რომ მას ერევნის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 180 მან. დ ფეხზე ვაჭრობის ნებართვა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 247 3—3

ანდრი ვასილის ძე ქოიავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან აღებული პასპორტი № 11015 მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს სასტუმრო „ევენევაში“. წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 238 3—3

აკოპ ნაგაპეტის ძე ტერ-არუთინიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული სომეხ. ერობ. ცენტრ. ბიუროდან, ხელწერილი, მიღებული ალექსანდრა-ხუდორეს ასულის რეინიალდისგან 1919 წ. 13 მაის. 267 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 79395—32 მან., რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 262 3—2

აოსებ ლაზარეს ძე ჯლანტიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 263 3—2

იოსებ ისააკის ძე ჰერელმანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიცემული უკრაინელების ეროვნულ კონსულის მიერ და სამხედრო უფროსის კანცელარიიდან აღებული დროებით სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 264 3—2

დარჩო გეევურქის ძე დივანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა აღნიშნული ტფილ. ნოტარ. არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1911 წ. ივლისის 29, № 2234. ქ. ტფილისის მე-7 უბანში მდებარე მამულზე, მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 249 3—2

დიმიტრი პანაიოდეს ძე კარტასიდი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქ ხაშურის მილიციის უფროსის კანცელარიიდან აღებული პასპორტი ექვსი-თვით ამა 1919 წლის 21 ნოემბერს № 9981. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 265 3—2

პავლე ალექსის ძე კობახიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შორაპნის მაზრის სოფ. საზანოს საზოგადოებიდან აღებული პასპორტი 1915 წელს, პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 266 3—2

პელაგია გიორგის ასული მეტრეველი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ზემო რაჭის საარიონო კომისარის მიერ მიცემული პასპორტი № 54. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით ბლდანის გზა კეტილი (ტუპიკი) № 17. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 273 3—2

ნინო ლიკანის ასული სიკვაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ს.მეჯვრისხევის საზოგადოებიდან (გორის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 274 3—2

მარტიროზი ოგანესოვის ძე კოლოპოტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ბათუმის სამმართველოდან 1914 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 268 3—2

ვართან მარტიროზის ძე კოლოპოტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 199750 აღებული ტფილისის საკრებულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 269 3—2

ალექსანდრე ყარსემაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალდათების ბაზარზე სახალხო გვარდიიდან აღებული პირადობის მოწმობა 2000 მან. და სხვა საბუთები. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს. გრაფის ქუჩა ჯაფარიძის სახელოსნოში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 272 3—2

დაკარგულია ნიკოლოზ ბაბაევის ძე ბაბაევის სახელზე ჯულფა—ბაქოს სამხედრო რკინის გზის რწმუნებულის მიერ 20,000 მან. ვალდებულობის ქაღალდი № 78/2568, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 260 3—2

გალუსტ მნაცაკანის ძე სუკიასიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 5 წლ. პასპორტი, მიღებული კარაბულახის ეჩმიაძინის მაზ., ერევნ. გუბ. სოფლის სამართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 248 3—2

დაკარგულია წმინდა ნინოს სასწავლებლის 7 კლასის დასრულების მოწმობა, მიღებული 1919 წ. № 234 და იმავე სასწავლებლის 8 კლასის დასრულების მოწმობა, მიღებული 1913 წ. 373, ფატმან სილოვანის ასულ ხუნდაძის სახელზე. მოწმობანი ჩაითვალონ გაუქმებულათ.

სტამბა საქართველოს მთავრობის. რედაქტორის მოვალ. დრ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი.